საჯარო სამართლის იურიდიული პირი

**საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი**

**საქპატენტი**

ქ. მცხეთა "15" 05 2013 წ.

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 683/03

**სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე**

2013 წლის 10 მაისის N 13521 განცხადებით კომპანიის „დიურასელ ბატერიზ ბვბა" (მის: ნეივერჰეიდსლან 7, 3220 არსხოტი, ბელგია) წარმომადგენელმა დავით კაკაბაძემ მოითხოვა გამოსახულებით სასაქონლო ნიშანზე (რეგ. N 13521) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი (რეგ. N 13521) საქართველოში რეგისტრირებულია 10.10.2000 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 10.10.2020 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-9 და მე-11 კლასების საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე (რეგ. N 13521) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით (მოთხოვნის რეგისტრაციის N 242, მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 15.05.2013).

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
**www.sakpatenti.org.ge**

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; კომპანიის „დიურასელ ბატერიზ ბვბა“ წარმომადგენელს დავით კაკაბაძეს (მის: კოტე აფხაზის 44, 0104, თბილისი, საქართველო).

ასლი დედანთან სწორია
"15" 05 2013 წ.
ხელმოწერა

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი:

რეგისტრაციის N: **13521**

მფლობელი: **დიურასელ ბატერიზ ბვბა**

მისამართი: **ნეივერჰეიდსლან 7, 3220 არსხოტი, ბელგია**

კლას(ებ)ი:

**9 - ელექტროქიმიური ელემენტები და ბატარეები; ტესტერები ბატარეებისათვის; მოწყობილობები სიმძლავრის კონტროლისა და რეგულირებისათვის.**

**11 - აპარატები განათებისათვის; ჩირაღდნები და ჯიბის ფარნები.**